№ 170. 15 აგვისტო, შაბათი. 1866—1881 15 აგვისტო, შაბათი. № 170.

რედაქცია

გაზეთების ბრიტანეთის ხელმწიფეთა. ოვ. მუზრანეთის ხახლებში ყოლების ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

შეიძლება თფილისში „დროებაზ“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაზ“ „ივერიის“ აგენტთან ი. ჭელნიაზთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ „Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

დროებაზ და „ივერიაზ“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
ცალკე { „დროებაზ“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ივერიაზ“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ნაბეჭდებრივ ასოთა ოთხგზელით ასოზე ნახევარ კაპ. ერთ ბეჭდვაზე ასოთა ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვოს, რედაქცია გაანწყობრავს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უარტოთ კერ დაუბრუნებს ეტყობრს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“ „ივერიის“ აგენტთან.

ფასი ერთ ბეჭდვაზე „დროებისა“ 5 კაპ.

ღვთის-მშობლის მიძინების დღესასწაულობის გამო, შემდეგი № გამოვა სამშაბათს, 18 აგვისტოს.

ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ მეორეთ ახლად გამოცემული წიგნი საყმაწვილო ისტორიული მოთხრობა—**იანკოს ცხოვრება**, ბ. ბ. დიდებულიძისა, ბ. ივ. ბაიდუკოვის გამოცემა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წიგნი არის კარგი ბეჭდით და ლამაზათ დაბეჭდილი, **ერთი** აბაზი ძვირი არ არის. დაბეჭდილია მიხელსონის სტამბაში.

* * *

სურამიდან გვწერენ:

„ბუშინ-წინ, 12 აგვისტოს, აქ მიწის ძვრა იყო. **როგოც** მოხუცებულები ამბობენ, თუმცა სამს წელიწადში ერთხელ მაინც მოხდება ხოლმე ამ გვარი მოვლინება, მაგრამ ამისთანა ძლიერი, როგორიც ეხლა იყო, ჯერ არ ყოფილაო.

პირველად საღამოს $5\frac{1}{2}$ საათზედ დაიწყო, მეორე-უფრო ძლიერი—11 საათზედ და 11 მინუტზედ.

ბაგრძელდა სამიოდ წუთს.“

* * *

ალექსანდროვის ბაღში კიდევ დაიწყეს მზადება. ეტყობა სეირნობის გამართვას აპირებენ; ამბობენ 15, ან 16 ამ თვეს გაიმართებაო. მოგეხსენებათ, ეს სეირნობა, როგორათაც წინანდელები, იმართება სასარგებლოთ ყმაწვილების თავშესაფარი სადგომის ასაშენებლად **თ**ფილისში.

როგორც ამბობენ, **ორმოც** ათასამდის არისო ამ საგნისათვის ხელის მოწერით შეკრებილი ფული.

* * *

ხვალ, 15 აგვისტოს, დაეწყებათ მაჰმადიანელებს **რამაზან** - ბაირამის დღესასწაული, რომლის პირველ სამ დღეს განსაკუთრებით დიდებით დღესასწაულობენ. პირველ დღეს, ჩვეულებრივ, რომელიც შემოღებული აქვთ ხოლმე ბარიატინსკის ნამესტნიკობის დროს, დილით გარდაიხდიან ბოტანიკურ ბაღში ლოცვას, ამის შემდეგ მოვლენას ხელმწიფე იმპერატორის და მის ოჯახობის სადღეგრძელოთ; ამ დროს გაისვრიან 21 სროლას ზარბაზნიდამ, რომელიც ჩამოაქთ ხოლმე არსენალიდამ თათრების სასაფლაოზედ, ბოტანიკური ბაღის პირდა-პირ.

* * *

სოფ. ბარელიდამ გვაცნობებენ:

ამ წარსულის დღის, ესე იგი თორმეტს ამ აგვისტოს, ღამის თორმეტის საათის ნახევარზედ იყო ჩვენს სოფელში საშინელი მიწის ძვრა. ბევრი აქ მცხოვრებთაგანი არა ვართ მომსწრე ასეთის ძლიერის სახილავისა. ბევრს სახლებს მიეცა შესამჩნევი ზნიანი.

ჩემს საწოლს ოთახში, ის იყო ერთი ჩეთვერის საათისა ჩაძინებული გახლდი, როდესაც ეს საშინელი მოვლენა მოხდა. უცებ მთელმა სახლმა სამის მინუტის გაერცელებამდის ისეთი რყევა დაიწყო, როგორათაც აკვანი ირწეოდეს და სასტუმროს ოთახში ორის ფანჯრის სტაკნები ღია იყვნენ და, მომატებულის რყევისაგან, მაშინვე ხსენებული სტაკნები მიეხურნენ; სტოლზედ ბროლის შანდლები ეწყვნენ; იმათი ჟღრიალი ისე ისმოდა, თითქოს განგებ ზარებს აჩხაკუნებენო.

„პირველად ვერ მოვიფიქრე, თუ მიწის ძვრა იყო... მე ვიფიქრე, რომ სწორეთ ესენი უნდა რაზბონიკები იყვნენ მეთქი, რადგანც, ცოტა არ იყოს, საეჭო ხალხნი დაიარებიან ჩვენ სოფელში და მე იმის ფიქრისაგან გატაცებულმა და ვიძახე: არიქათ, ქურდები შემოვიდნენ, მიშველეთ მეთქი!... მარამ, როდესაც კარგათ გამოვირკვე, ვნახე რომ იყო მიწის ღელვა და არა რაზბონიკების მოქმედობა.

„მეორეს დღეს ყოველი მეზობელი და სახლი კაცებიც ჩემებრ იმღამის გავლენას ემდუროდნენ და ისინიც ჩემებრ შიშისაგან აღელვებულები იყვნენ. ზოგი ანბობდა, სახლი მიწით აგვევსოო, ზოგი ამბობდა, კედლები დაგვისკდაო და სხვ.

„მეც დავათვალიერე ჩემი ახალი სახლები და ვნახე, რომ არც ჩემსას დაყროდა კეთილი შემთხვევა:—ჩემის საწოლის ოთახის ერთი შუა კედელი თავიდამ ბოლომდის, გახეთქილიყო, მეორე ოთახშიაც ისე ვნახე; მესამე ოთახში დასავლეთის კედელი ისე ძლიერათ იყო ნაბზნიანები, რომ კირისა და აგურის ნანგრევები პოლზედ დამხვდა;

ახლა ისიც უნდა მოისმინოთ: როგორც ამ სოფლისა, ისე სხვა სოფლების მცხოვრებნიც ძლიელ დაფრთხალნი არიან ამ საშინელის მოვლენისაგან; სულ კუდიანს ვარსკლავზედ აქვსთ სამდურავი, რომ ის აღგვიჩნდა სწორეთ ამის მიზეზათოა. „მკითხავების“ წინასწარმეტყველებაზედ, ხომ რაღა მოგახსენოთ!!.

—

ტაქცია

საგვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 15 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირ. $5\frac{1}{2}$
მეორის „ —1 გირ. 4 კ.

«დროების» ფელეტონი, 15 აგვისტ.

ადვოკატთან

(ბატარა ამბავი)

ჩამავალმა მზემ უკანასკნელად მოჰფინა თავის სხივებით წყნეთის მწვერვალი და დინჯად გადაიმალა გარესკნელის სივრცეში. ქვირიკობის თვის სიცხე-პაპანაქებით სახლებში დამწყვდეულ თბილისელებმა ზლაზვნით დააღეს დარბაზინები (სტავნები) და ფანჯრები და ნელ-ნელა ვამოლაგდენ ქუჩებში. ველიამინოვის ქუჩაზე მხოლოდ ერთს მდიდრულის სახლის ოთახს არ გაღებია ფანჯარა, რომელსაც დარბაზინის მოხდის შემდეგ შიგნიდამ ჩამოეფარა ღვინის ფერი ხავერდის ფარდა, და ოთახში მყისვე აინთო ბევრი საიდუმლო საქმეების მოწმე ლამპარი.

ნახევარი საათის შემდეგ, შესავალს წინა კარს მოადგა წმინდად და ღარიბულად ჩაცმული შავოსანი ქალი; კრძალვითი მოუთმენელობით ჩამოჰკრა ზარის ზონარს ხელი, ერთი გულით ამოიოხრა და სული განაბა კარის გამღების ფეხის-ხმისა ლოდინში. წამიც გავიდა და ბიჭმაც კარი გააღო.

— ვინ გნებავს?

— ადვოკატი ლონგენაშვილი აქ დგას?

— აქა დგას დიაღ, რა გნებავსთ?

— საქმე მაქვს, უნდა მივაბარო, თუ შეიძლება ვნახო...

— ვინ ბრძანდებით?

— ***-ელი გახლავარ, ძლევაძის ქვრივი...

— მაშ ოთახში შემობრძანდით და მოითმინეთ! ბაწვრთნილი ფარეში შეეიდა ბატონთან მოსახსენებლად და ორიოდე წამის შემდეგ ძლევაძისაც მიიწვია კაბინეთში.

წიგნებით მოყრილის უზარ-მაზარის მაგიდას (სტოლის) წინ, ფეხი-ფეხს გადადებით ჩამჯდარიყო ღრმა სავარძელში ადვოკატი ალექსი ლონგენაშვილი; ხელში ეჭირა ახალი ნომერი **„სამოქალაქობრივო და სისხლის სამართლის უფლების ჟურნალი“** და რაღაც შენიშვნებს სწერდა ფანქარით (კარანდაშით) ფურცლების გვერდებზე. ძლევაძის ქვრივის ოთახში შესვლისთანავე ის დარბაისლურად წამოდგა, ღიმილით დაუკრა მას თავი და ალერსიანად მიიწვია გვერდზე მდგარს ტახტზე „დასაბძანებლად„, ჩვეულებრივის „გამარჯობა“ - „გაგიმარჯოს“ შემდეგ, რასაკვირველია.

მანდილოსანი ნაღვლიანად დაეშვა მეფურად ბოფარდაგულსა და მუთაქებით მოწყობილს ტახტზე.

— **რას** მიბრძანებთ, ჩემო ბატონო? **ტ**კბილად, ეშხიანის ზრდილობით ჰკითხა ალექსიმ შავოსანსა.

— **თ**ვითონ ბატონოვ, თქვენი კენესამე, ბრძანება თქვენი რიგია და მუდარა ჩემისთანა ოხერ-ქვრივისა... ამას გეეედრები, ჩემო ხელმწიფეო, ერთი ვინმე ღარიბი გლეხის ქვრივი გახლავარ ტანჯული და...

— ბლეხის ქვრივი!?! ბულ-დაწყვეტით და გაოცებით ჰკითხა ალექსიმ შაოსანსა და აპრუწა ტუჩები.

— დიაღ, შენი კენესამე, ძლევაძიანთ **ი**ასონასი... ჰო, ჩემო ბატონო, იმას მოგახსენებდი თქვენი ჭირიმე, რომ ტანჯული და წამებული ვარ და თქვენგან მოველი შველასა და ხსნას იმ ჩემი სისხლის მწოველის ლევან ჭუკუშვილისაგან...

— **ვ**ინ ლევანია, რა საქმე აქვს თქვენთან?

— **ჩ**ემი განსვენებულის ბიძაშვილის ნაქმარევი გახლავს, ჩემო ხელმწიფეო; იმ დღიდამ, როდესაც მე ჩემს ქმარზე შავად ჩავიცვი ჭირისუფლობის ნაცვლადა მონავერობა დაუწყო ჩემს საბრალო სახლობასა... ნეტავი, მიზეზი მაინც რამე მიგვეცეს იმ არამზადასთვის, სიკეთის მეტი რაუნდა ახსოვდეს იმ შეჩვენებულს ჩვენგანა. მაგრამ ავი სულია და ის არი რაღა. ჰი, თქვენ შემოგეეღლე, საქმე რა გახლავსთ უნდა გიამბოთ. **რ**აღაც ეშმაკმა და ჩემმა ჭირმა იმ არამზადა ლევანასა შეაყვარა ჩემი უფროსი ქალი **თ**ეოი — სულ ორი შვილი მყავს, ორივე ქალი, — და ჩამაკივდა მომათხოვეო; ქრისტიანის შვილი როგორ...

აქ შავოსანს აუკანკალდა ხმა და ცრემლები მოაწვა თვალებზე. **ც**ოტა ხნის შემდეგ თვალ-ცრემლიანმა ხმის კანკალითვე განაგრძო: ქრისტიანის შვილი როგორ მისცემდა ამისთანა ჯვარის წერის ნებასა, რომელი დედა დაჰგმობს ღმერთს, სინიდისზე ხელს აიღებს და თავის ქალს ნებას მისცემს ასე ახლო ნათესაების წაყოლისას? **ა**რც ჩემს ქალს უნდა, თქვენი ჭირიმე, იმ არა წმიდა ნათესაების ცოლობა. **ა**მისთვის მოგვიდგა ის ურჯულო ისი, და თათარსაითი აღარ გვზოგავს, ოღონდ

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	6 კ.
მეორის „	—1 გირ.	4½

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში	1 ვირ.	7 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5½
მესამის „ „	—1 გირ.	5 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	9 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 კ.
მეორის „	—1 გირ.	12 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

„დროების“ კორესპონდენცია

ქუთაისი, 12 აგვისტოს. ციდევ კაცის ჩეხა და კვლა, ავაზაკობა მრავლდება, კაცებს ქათმებივით სჩეხენ, ხოცვენ **დღისით**, საღამოს და ღამით შუაგულს ქუთაისის ქალაქში, დამჩეხელნი და მკვლელნი დაუჭელად სეირნობენ იმავ ქუთაისის შუაგულში, ქეიფობენ, ლოთობენ კიდევ სჩეხენ და ასე ამ რიგ.... ადმინისტრაციას სძინავს, მართლ-მსაჯულება დუმილებს, საზოგადოება ჩივის, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი, ვინ არის გამკითხველი?! „დროების“ № 158-ში დოკუმენტალურის დამტკიცებით მოხსენებული იყო, რომ აქ . . . . . გამომძიებლის და პროკურატურის ნება დაურთველად ციხიდამ გამოუშვა კაცის მკვლელი, და ეს ვაჟ-ბატონი გამოფრანტული ქალაქის ბაღში არხეინად დასეირნობს*).. როგორ მოგწონთ?

ბუშინის წინ კაცის მჩეხელმა დოღონაძემ ქუთაისიდამ სამიოდე ვერსზე მოჰკლა ვაჭრის შვილი, ჭაბუკი მღებრიშვილი და, კიდევ უშველოს ღმერთმა (თუ კი შეიძლება ამ გვარ კაცს ღმერთმა უშველოს)—თვითონ გამოცხადდა პოლიციაში..... თავის გასამართლებლად!

ბუშინ წინის წინ, ქუთაისში ხიდზე, საღამოს შვიდს საათზე, მეორე კაცის მჩეხელმა, ხარაზმა მელაძემ, დაჩეხა ერთი კაცი და ორი ცხენი.

*) სუპერობილდამ გამოშობის შემდეგ ამ კაცის მშვეიერმა თავის გამოშშობელის რჩევით ალბათ შეიტანა სასამართლოში თხოვნა თავდებით გამოშობისა! ეს იყო კამედია... ადმინისტრაციის წარმომადგენელისაგან გამართული მართლ-მსაჯულების არარაობის დასამტკიცებლად. სასამართლომ, როცა გამომტეუნებელი ოქმის ჩასაბარებლად დაიბარა მკვლელი სუპერობილდამ, იქიდან ანონიმს აქ ადარ გასცემო!... ბოლოს ფაეტონით, ერთი პრისტავის და ჩათლახის პოლიციის სუტ-დარაჯის თან-სლებით კაცის მკვლელმა შებრძანდა სასამართლოში. სად ბრძანდებითო? ჭკითხა სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგმა: „ღუბერნატორის სახლშიო“, ამბარტავნულად მიუგო კაცის მკვლელმა.

ამ სტრიქონების წერის დროს შეგიტყვე რომ ამ საქმეზე „დროების“ ზემოხსენებულის სტატიის გამო ბ-ნ ღუბერნატორს თბილისიდამ მიუღია მოწერილება, რომ დაუოკანებლივ შესუხი აგოს, თუ რას ნიშნავს ამისთანა მოქმედება მისი, მარა „ვის უთქვამს დედა ჩემი კუდიანიაო?“ ნუ თუ ამ საქმემ ასე უბრალოთ უნდა ჩაიაროს?!

ავტ.

კი რამ საზიანო და დასაკლებელი კი გეიპოვოს და. ერთი საზიაროდ ნაყიდი ყანა გექონდა, შენი კენესა მე, ჩვენ და იმ წყეულს ლევანასა და, სანამ საბრალო იასონა ცოცხალი იყო, ზიარადაც ესარგებლობდით ხოლმე და მითი თუ რამე დაგვრჩებოდა ჯალაბის გამოსაკვებავად. ეხლა, ა იმ ჯინისათვის, დამიბრიყვა უპატრონო ოხერ ქვრივი, ორი საწყალი ქალიშვილის დედა და უღვთოდ დაისაკუთრა მთლად ის ყანა. რამდენჯერ მუშები დავაყენე, სულ ცემა ტყეპით გამომიგდო და მე თვითონა ქვეყანაში გამომათრია უშვერის ლანძღვა-გინებითა. ერთხელ საცემრადაც მომვარდა ჯარიანობას და, რომ ღვთისნიანი ადამიანები არა, ცემით მომკლავდა. რას მერჩოდა? „ქრისტიანო, ჩემი ქმრის ოფლის ფასით ნაყიდი ყანა დამანებე მეთქი“ ეუთხარი და ამაზედ მომდევა მიზეზი „მაგისთანა ბრალსა როგორა მდებო“. ოჰ, ღმერთო!... ეხლა თქვენ გემუდარები, თქვენი მუხლების ჭირიმე, მიშველოთ კანონითა მე უპატრონოს. ი ჩემი სასო ღვთის მშობელი იქნება თქვენი მფარველი, ჩემო ხელმწიფეო, ის ყანა ამომიგეეთ და თქვენს სახელსა მთლათ დავედები.

— იმ ყანაზედ ნასყიდობის ქაღალდი გაქვთ, ან მოწმეები გყავს, რომ ადგილი თქვენს ქმარს და იმ კაცს ზიარად უყიდია?

— როგორ არა, ჩემო ბატონო, ნასყიდობის ქაღალდი გახლავს მხოლოდ შინაურია და ისე კი თუ გნებავთ, მთელი სოფელი იტყვის, რომ ყანა ზიარად იყო ნაყიდი.

— მაშ ადვილი საქმე ყოფილა.

— ჰო, ხელმწიფეო, თქვენთვის ადვილია, მაგრამ ჩემისთანა უპატრონოსათვის შეუძლებელია. ის ლევანაი ღუბერნატორის ნაფარეშევი გახლავს და მამასახლისს და მოსამართლეებს ძიელ ეშინიათ მისი; მაზრის მსაჯული, შენი კენესამე, პარტიობასა მისდევს და ლევანას ნაბატონარი მსაჯულის პარტიისა გახლავთ და, რამდენსაც შევჩივლე, სულ მეუბნებოდა „წადი შინაურულად მოურიგდიო.“ ვინ ოხერი არ მოურიგდება, მაგრამ მაგარი ეს გახლავთ არ უნდა იმ შეჩვენებულსა გარიგებაი... აწ თქვენ მიშველეთ და საუკუნოდ მოსამსახურედ გამხადეთ მე საწყალი და ღარიბი...

— ჰმ, რა ვქნა, ჩემო დაო, ამ სოფელს ვინ არ არის ღარიბი. მე კი მდიდარი გგონივარ? თუ...

— ღმერთი თქვენა გწყალობს და ხელმწიფე, ჯან...

— ჰო კარგი, ჩემი სიმდიდრე საქმეს არ შეეხება. რამდენი შეგიძლიათ მომცეთ შრომის ფასად?

— რასაც თქვენი სამართალი და პატიოსნება მოითხოვს იმდენს მოგართმევთ, ხელმწიფეო, იმედი მაქვს კია, რომ ჩემს ბედსა და ყოფას შემოხედავთ...

რამდენი დღიური იქნება თქვენი წილი ზიარი ყანა და რა სოფელსაა?

— ექვსი დღიური გახლავს სოფელს ჰ—ში.

მაშ თქვენი ხათრისათვის უკანასკნელი ფასი, რომლისთვისაც თქვენს სადავო საქმეს ხელს მოვკიდებ ოცი თუმანია.

ძლევაძისას თითქოს ელდა ეცაო. ჰა, თქვენი კენესამე, ყველა ადვოკატები მოვიარე და ათი თუმნის მეტი არავის უთხოვნია. თქვენთან იმიტომ გიახელ, რომ ღვთისნიერი და ქართველი კაცი ბრძანდებით, ამდენი სად...

— ჰო, ჩემი ქართველობა საქმეს არ შეეხება. შეგიძლიათ, ვისთანაც წინედ ყოფილხართ იმ ადვოკატებთან მიბრძანდეთ...

პოლიციას არც კი შეუტყვია მგონი. დღეს ეს ვაჟბატონი დილიდამ საღამომდინ ლოთობდა და სეირნობდა ფაეტონით, სიმღერითა და კიჟინით. საღამოს, ათს საათზე, სილის ბირჟაზე გადმოხტა ფაეტონიდამ და მიდიოდა. ქუჩერმა ფული სთხოვა. მელაძემ ეს თხოვნა იუკადრისა, ჩაჩტა ისევ ფაეტონში და სილა გაარტყა მთხოვნელს; ამანაც „პროცენტებით“ გასცა პასუხი. მელაძემ იშიშვლა ხანჯალი და დაარტყა ერთი, დაარტყა მეორე... საბრალო ქუჩერმა შავგულიძემ შექნა ყვირილი. მოვიდა ღამის დარაჯი: ორი სალდათი და ერთი დესეტნიკი... სეირის საყურებლად... ამათ თვალწინ მელაძემ ასწია ხანჯალი და სასიკვდილოდ დაჭკრა მუცელში; საბრალო მსხვერპლმა იქვე დალია სული, ოღონდ ერთი კი წამოიძახა საზარელის ხმით: „გაეთაედი!“ შეგროვდენ მედუქნეები, ორს სალდათს და ერთს დესეტნიკს კიდევ მოემატა ერთი ამდენი. ბოლოს მოსულ ერთმა სალდათმა უეცრად, უნებლიეთ დაეჯახა მკვლელს და, რა კი შეხედა, რომ ამ უკანასკნელმა ხანჯალი მოუქნია, გაჭკურცხლა... მკვლელმა გამოეკიდა. სამს დანარჩენს სალდათს და ორს დესეტნიკს ეცვალათ ფერი... ისევ გაქცეულმა სალდათმა მოუბრუნდა და დაუხვედრა ხიშტი. მკვლელმა წაიფერხა. მეორე სალდათმა მხოლოდ მაშინ გაბედა კისერში ხელის წავლება. მესამე სალდათიც წამოეშველა და მკვლელი დაიჭირეს... „რას მიხამენ? ხუთი კაცი დამიჩეხია, ერთი მოვკალი, ამდენს კიდევ ჩავაძალლებ!“ დაუყვირებია თურმე ამ ვაჟბატონს.

— „რა გამოვიდა, ბატონო, რომ დაიჭირეს? ხვალ შეიტანს ვინმე საწინდარს და გამოუშობენ ამ კაცის მკვლელს, მერე კიდევ მიდგება შუა ქალაქში ჩეხას და კვლას და დამჭერი ვინ იქნება“!?

— „მგერ ღუბერნატორის ნალაქიარმა კაცი მოჰკლა და დღეს თეთრად გამოწყობილი ბულვარში დასეირნობდა“...

— „სადღაა სამართალი? ვისაც რა უნდა იმას შვრება. ვინც უნდა იჭერდეს ავაზაკებს, იმათ ყველას ძინავთ“...

აი ეს სიტყვები, მართალი სიტყვები, ისმოდა იქ იმ დროს, როცა ღვიძლებ-გადმოყრილი მკვდარი კაცი იქვე ეგდო მოწმად და დასამტკიცებელ საბუთად ამ სიტყვებისა.

რას აკეთებს პოლიცია ამ შემთხვევაში? . . . . . .

„—შე დალოცვილო ხანჯალზე ხომ ვერ წამოვეცმოდი გაბრაზებულს კაცსო“ . . . . . თამამად, თითქოს ჭეშმარიტება ეთქვას, ისე მომიგეს იმ დესეტნიკებმა და ამავ სიტყვების თქმა ბეჭედითაც გაბედა ერთმა პრისტავთაგანმა ამას წინად.

დიაღ ბატონებო, თქვენი ზნეობითი ვალია ხანჯალზედაც წამოეგოთ თუ კი საჭიროა, რომ თქვენის სიკვდილით დაიცვათ მოქალაქეს სიცოცხლე. ვითარცა სახელმწიფოს მოსამსახურეს და საზოგადოების მცველს, თქვენი მოვალეობაა თავი გაიწიროთ და სისხლი დასთხიოთ იმავე საზოგადოებისათვის, რომლის დარაჯად თქვენ ითვლებით, რომელიც თქვენ გარჩენსთ, ლუკმა პურს გაძლევთ...

მაგრამ, ეჰ... ვის ვეუბნები და რას?! თავის გაწირვა და სისხლის დათხევა საზოგადოებისათვის ვაჟ-კაცს მოეთხოვება და არა ჯაბნებს... საკვირველია ღმერთმანი; იქ, სადაც ფიზიკური ლონე უქმია, ლომ ბიჭები

— არა, ჩემო ბატონო, საწყენად არ მიბრძანებია, მხოლოდ ეეედრები ჩემი სისაწყლე შეიბრალო და ოფლითა და ტანჯვით ზონაგარს სამ-თუმან-ნახევარსა დამჯერდეთ, თქვენს სადღეგრძელოთა და, თუ გყავსთ, თქვენი ცოლ-შვილის სადიდებლად..

— რა ვქნა, ჩემო დაო, მეც ცოლ-შვილის პატრონი ვარ, ექვსი სული სარჩენი მყავს. „რიგიანი“ ფასი თუ არ ვიღე, როგორ იქნება, მეც წვალებითა და ოფლით ვასრულებ ჩემს ხელობას. ეხლა მაგ შენს საქმეს ცოტა შრომა უნდა გგონია? ეს საბუთების განხილვა ვარო, ეს საჩივარის შეტანა, მოპასუხე საქმეს გააჯახირებს, არ გამოცხადდება სასამართლოში, საქმე გადაიდება, მეორედაც შეიძლება არ დაესწროს, სასამართლოს განჩინებას დაარღვევს, ახლა ხელახლავ საქმის დაწყება და ესე ამ ნაირად... მეც თან უნდა ვსდიო, გარეწარად საქმეს ხომ ვერ მოვეკიდები, თუ კი ერთხელვე ავიღე? ასე, ჩემო ბატონო...

— თვითონ ბატონო და ბატონის ხელმწიფეო, თვითონ ბრძანეთ წაღან, რომ ადვილი საქმეაო და...

— ერთის სიტყვით, ბევრი ლაპა-

მსახურებენ და პოლიციაში კი, სადაც ეს ლონე და მამაცობა აუცილებელი საჭიროებაა, სულ ციებ-ცხელაბიანს ბრუტიანს ბებრებს მოუყრია თავი! ავაზაკებიც ამით სარგებლობენ და ანდაზის „სოფელი ენახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოს“ თქმისა არ იყოს, ნავარდობენ დაუსჯელად, ჯოხის ნაცვლათ ხანჯლითა... ახლა ვისაც გინდა თვალით ნახო რა არის ზნეობითი დემორალიზაცია აქ მოდით და იხილავთ... ზემოხსენებული მკვლელობათა გარდა, ქურდობა, ღამე მოსეირნე „პაჭარნებისგან“ გამვლელთა შეურაცხყოფა და ცემა გროშად იფასება ჩვენში... „ბნელეთის ადამიანებს“ დაუდგათ მეუბის დრო, ბურთი მათია და მოედანსაც მალე დააპატრონდებიან, თუ დროზედ არ უშველა კაცმა.

ამ შველასაც დიდი თავის-ტეხა არ დასჭირდება, ოღონდ სურვილი იყოს და მონდომილება . . . . . .

. . . . . ველა ავაზაკები ცნობილია *). საჭიროა მათი დაჭერა, და სამართლიანი განსამართლება: მეტი არაფერი. ამითი ცუდი კაცები მოგვშორდება და მხარე მოისვენებს. პოლიციაში პრისტავების და დესეტნიკების ადგილებზე უნდა დაინიშნონ მხნე, გამოცდილი, ვაჟ-კაცი და დარდიმანდი კაცები, და მაშინ ნახავთ თუ რა ადვილად შეიძლება ჩვენში პიროვნების შეუხებლობის დაცვა,

. . . . . .

„ვისაც გასხმიათ ყურნი—ისმინეთ!“

ჯ.

*) ავაზაკობა ვრცელდება—მეთქი, მაგრამ ავაზაკების რიცხვი ერთი და იგივეა. სულ ერთი და იგივე პირნი, რიცხვით 10-დე, ჩადიან ავაზაკობას. თუ დროზედ შველა არა—ამათაც მოეატებათ ამქრები. ავტ.

წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! მე წავიკითხე „დროების“ 113 №-ში პასუხი ბ. საბინინისა შენიშნვასა ზედა იოანნე ბერძენოვისა; შესახებ საბინინის მიერ თვითნებობით გარდატანისა ღირსისა მამისა ჩვენისა დოდოს ძვლებისა თვისის სამარხოდგან, ბაეთ გარეჯის უდაბნოსა შინა. სხვათა შორის სწერს: „განა თვით წინამძღვრები არა ცდილობენ მონასტრების მოსპობას? მაკარიმ და პროკურორმან ეს ჰაზრი შეიტანეს სინოდში, რომ წმიდა ნათლის-მცემლის მონასტერი, ხაშმზედ გადავიტანოთო, რაკი მონასტერში წყალი არ არისო. მე გამოაცებს ესა, რომ საბინინს არ ესმის, რომ მაკარის და პროკურორს არავითარი უფლება არა აქვსთ, რომ სინოდში შევიდნენ თავიანთის ჰაზრით. ეს საბინინის შენიშვნა არის სრულიად სიცრუე და ცილის-წამება, მისთვის, რომ მას სურს გააშავოს ჩემი სამსახური, როგორც მთავრობის წინაშე ისე საზოგადოებისა წაქეზებისა გამო არა კეთილ განმძრახთა პირთა. ამაზედ, თუ უარს იტყვის, მე დავუმტკიცებ მას საბუთებით, რომელნიც თვითვე ბ. საბინინმა გარდმომცა მე.

აღსადგენელად სიმართლისა წინაშე საზოგადოებისა, ვიტყვი ამას, რომ არც სასულიერო მთავრობას, არც მაკარის და არცა პროკურორს სრულებით არა ჰქონია ჰაზრად გარდმოტანა იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრისა, ს. ხაშმზედ. ბთხოვთ უმორჩილესად დაბეჭდოთ ეს მცირედი წერილი თქვენი გაზეთის უმახლობელეს ნომერში.

არქიმანდრიტი მაკარი

3 ივლისს.

რუსეთი

—

გაზეთს „ნოვოსტში“ სწერენ, რომ ამ მოკლე დროს, სახელმწიფო რჩევაში იქნება განხილული სახალხო განათლების სამინისტროს წარდგენა მიეცეს 100 ათასის მანეთის კრედიტი, ყოველ წლივ, სახალხო სკოლების დასახმარებლათ და შესანახავათ.

— წელს რუსეთის სამხრეთ გუბერნიებშიც დიდს მოსავალს ამბობენ. პური ყოველგან მომკილი არისო.

— რუსულ გაზეთს „ბორიადოკში“ სწერენ, რომ მმართებლობას განუზრახავს სამხედრო სასწავლებლების სრული რეფორმა.

— რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ გრაფ. როსტოვცევს და დიტრიხს განუზრახავს აქციებზე საზოგადოების შედგენა მუშა ხალხის ყოველ კვირული შემწეობისათვის.

უცხოეთი

—

ამერიკულ გაზეთში სწერენ, რომ დოკტორი ტანნერი მომკვდარა. ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ ეს კაცი, რომელმაც ორმოცი დღის მარხულობა შეინახა...

—

„ჩრდილოეთ—გერმანიის გაზეთში,“ რომელიც ბისმარკის გაზეთათ ითვლება, სწერენ უკანასკნელს ბამბეტის სიტყვაზე: ესწუხვართ, რომ ბამბეტა, რომელსაც ასე მაღალი ადგილი უჭირავს და ასე დიდი გავლენა აქვს, ხშირად ლაპარაკობს ბერმანიისთვის მაგიერის გადახთაზე. ჩვენ მსურველნი ვართ საფრანგეთთან კარგი განწყობილება გექონდეს, მაგრამ ჩვენი ვალია ყოველ ამ გვარ განზრახვას საფრანგეთის მხრით ჩვენი წინააღმდეგობა ამოუჩინოთ.

—

იტალიანურ გაზეთებში ბევრი ლაპარაკია იმაზე შეუძლია პაპას იტალიიდამ გადასახლება, თუ არა. ხმა დააგდეს, ვითომ ბრეევმ საფრანგეთში მოიპატიჟა პაპაო, მაგრამ „ჰავასის სააგენტო“ ამტყუნებს ამ ხმას.

—

პარიჟი. ბელვილში მომხდარა ახალი ყრილობა აღმომრჩევლებისა, რომელზედაც ბამბეტის მოპირ-დაპირე კანდიდატები რევილიონი და ლაკრუა გაცხარებით ამბობდნენ ამის წინააღმდეგ სიტყვას, დიდ ძალი გამგონეთ ტაშის კვრით და ამასთანავე ამტყუნებდნენ ბამბეტას იმაში, რომ მას სურს ომი ატყდესო.—უკანასკნელ სხდომაზე ბელვილში ბამბეტა ჰფიქრობდა დიდი სიტყვის წარმოთქმას, სოციალურ მდგომარეობაზედ, და როდესაც წარმოდგა ამის ასასრულებლად ჯერ ტაშის კვრით მიეგებნენ, მერე კი სტვენით. მავსმჯდომარის ამორჩევის დროს, ხალხიდან ყვიროდენ, რაც შეეძლოთ ისე ხმა მაღლა, რომ დაენიშნათ პრეზიდენტათ სოციალისტი რეტი! ამოირჩიეს მეტიეე და ორი სხვა ბამბეტას მომხრენი. დაიწყო საშინელი ხმაურობა, როდესაც ბამბეტა წამოდგა თავის ადგილიდამ. ყველანი ყვიროდა: „რეტი! რეტი!“ ბოლოს რეტი დასვეს თავსმჯდომარის

რაკი საჭირო არ არის. ბაჭარი არ გახლავარ, გნებავსთ საქმე მომაბაროთ, ათი თუმანი მიბოძეთ, არა და ნება თქვენია! მრისხანედ უთხრა სიტყვაზედ დაჭერის გამო წამოწითლებულმა ადვოკატმა.

— თქვენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოთ შემიბრალეთ მე საწყალი ოხერ—ქერიეი. ლამის შიმშილით მოვჰკვდე, თუ არ მიშველეთ, ჩემო ანგელოზო...

და ცრემლ—მორეულმა, მთლად აცახცახებულმა ალექსის მრისხანე კილოთი დედაკაცმა, უეცრად დაიჩოქა და მუხლებზე მოეხვია ადვოკატს, რომელსაც, ცოტათი არ იყო, დაულბილა ამ მოხვევენამ და ზედ მუხლის თავზე კოცნამ.

— ჰო, კარგი; ადექი, ჩემო დაო, ადექი, მაგ...

— ჰოო, შენი კვნესამე... მკრთოლვარე ხმით და ცრემლებით ეუბნებოდა წამომდგარი დედა-კაცი მას, ხელის კანკალით ამოიღო უბიდამ ხელმანდილში გახვეული სამ-თუმანნახევარი ფული და იმ ნაირის ღიმილით, რომელიც წვიმიანს დარში მანათობელს მზესა ჰგვანდა, გაუწოდა...

— არა ფული ახლა რა საჭიროა, ხვალ მობძანდი ნაშუადღევის ექვს საათზე. მაშინ მოცლა მექნება და უფრო დაწვრილებით გამოგკითხავ საქმის გარემოებას. ფულიც მაშინ შეგიძლია მომცე...

— ნება თქვენია ხელმწიფეო. სიტყვა არ უნდა, თქვენი დიდი სწაველა—ცოდნაი ჩემისთანა საწყლისათვის ბევრჯელ გამოგიყენებიათ და ღმერთიც მოწყალეა, კიდევ მრავალ გზის გამოიყენებთ... დაშოშმინებული გულით იმედეულად ეუბნებოდა ძლევაძისა „ჯოჯოხეთის ჩირაღდნის“ იმედ გაცრუებულს ადვოკატს.

— დიდ სწაველა—ცოდნას დიდი ფული ეჭიერება მაგ... ადვოკატმა შეხედა, რომ დედაკაცმა დაიჭყანა და კიდევ „ისტორიას“ აპირებს და დაუჩქარა: ჰო, არაფერია, არაფერია, ხვალ იმ დროზედ მობძანდით, რომ გითხარით და თქვენს საქმეს ხელს მოვჰკიდებ.

ძლევაძის ქერიეი სიხარულით ფრთაშესხმული გაექანა თავის ბინისაკენ. თვალ-წინ წამოუდგა ჩაბარებული მისი წილი ზიარი ყანა, შიგ დამწიფებული დალოცვილი პურის უხვი თავთაევები, ორი მოწიფული ქალიშვილის ქორწილნი ზურნა-დუდუკი-დაირით. ჰა, დაჰკათ, დაჰკათ დღეს, ხელ-მეორედ ვყმაწვილდები. ლეკური ასე უნდა, აი, ხელ-ჩართული, დარ...

— ვა, ეა, ჩემო დაო, რას მიეხუნტრუცები, იერუსალემში ხო არ მიდიხარ? ქრიეი გინდა, მე გასწავლო, ჩემთან წამო! უზრდელურად გააწყვეტინა დედა-კაცს მისი ტკბილი ოცნება ერთმა კინტომ, რომელსაც ცხვირ-პირზე ლაზათიან სილად გაეწნა სალეკუროდ მოქნეული ხელი ალსენალის ქუჩაზე...

—

დილის შვიდი საათია. ადვოკატი ალექსი ლონგენაშვილი დღეს ჩვეულებაზე უფრო ადრე ამდგარა.

— ბატონო, რკინის გზის სადგურზე მითხრეს, ქუთაისს დღეს კი შეიძლება წასვლაო. მოუსწრია წვიმებისაგან წამხდარის გზის გაკეთება,— მოახსენა ფარეშმა.

— ეთილი! ხომ სულ მზადა ვართ?

— ეი, ბატონო.

— ჰო... ის მინდოდა მეთქვა... ჩვენს გოგოს დაუბარე, გუშინ საღამოს, რომ აქ დედა-კაცი მოვიდა ჩემთან საქმეზე, დღეს თუ კიდევ მოვიდეს, ასე უთხრას ბატონი იმერეთში წავიდა ძრიელ საჭირო საქმეებზე და დიდ-ხანს ვერ დაბრუნდება-თქო, გესმის?.. ან და, ну ее къ чорту! (ეშმაკებს მისი თავი), პირ-და-პირ უთხრას, თავიდამ მომშორდი-თქო... არა, არა, ისე გადასცეს, როგორც წინედ გითხარი.

ფარეში გავიდა.

დალახვროს ღმერთმა ამისთანა დრო, საქმე გააჭიეროს ღარიბ კლიენტებმა! მობძანდი და ყველა მუქთად დაიცევი, როგორც ის ვილაც ძლევაძიანთ ქერიეი მეღრიჯებოდა... ჰმ... როგორ დამიბერდა მაშინ ჩითის კაბაში ჩემი *Geanette*! ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობაც რომ ბანს აძლევს ამისთანა დატაკების საჩივარს ადვოკატებზე?! ეჰ, რა ადვილია სხვისი ხარჯით ლიბერალობა!... სხვას ასი-ამოვნე, თითქმის მუქთად საქმე გაუკეთე და შენ თვითონ სიამოვნებას მოაკლდიო,—როგორ არა!!

ათის ნახევარზე, ბ-ნი ალექსი რკინის გზის მატარებლით მიექანებოდა იმერეთისკენ...

ჯ.

გვერდით, როგორც თანაშემწე. ამ ყვირილში ბამბეტას არ შეეძლო ეთქვა არაფელი, გარდა დამშვიდების და წესიერების აღსადგენი სიტყვების მეტი. ამის შემდეგ ბამბეტამ წარმოსთქვა: „მე ვარწმუნებ იმათ, რომელნიც ეგრე უსვინიდისოთ თავს იჭერენ, მოიფიქრონ, თავის თავს მაინც მისცენ პატივი: თუ არა, იტყვიან, რომ არ შეგიძლიათ თავისუფლობა აიტანოთ და მხოლოდ ძალას შეგიძლიათ დაემორჩილოთო“. ასტყდა უარესი სტვინვა და ყვირილი. ბამბეტა აკცხადებს: „ამ გვარად მოქმედობენ მხოლოდ მოშიშარნი! ვაი სირცხვილო! იტყვიან, რომ არავითარი პატივის ცემა არა გაქვსთ თავისუფლობისა, რომ თქვენ გაქვსთ მონობის ჩვეულება!“ ზოგი ყვირის: „ბრძანეთ!“ ზოგი: „არა, არ გვინდა!“ ბამბეტა: —„თქვენ დაგიქირავეს, რომ იყვიროთ: „არა“? მე მოველი, რომ ჩემი ჰაზრები გამოგიცხადოთ და თქვენ კი არ მაცლით ლაპარაკს. თქვენ მე დიკტატორს მეძახით, და იცით თქვენ კი ვინა ხართ? დაცემული მონები! მე მძულს მეჭორეები; მე იმათ გამოვსძებნი და გამოვაშკარავებ თქვენს სოროებში!“ საზოგადო უწესობა სულ უფრო-და-უფრო მატულობდა. ხალხი ყვიროდა: „ბამბეტა-ბალიფე!“ ბოლოს ბამბეტამ სხდომა დახურა და გამოვიდა. ზოგიერთ მუშებთაგანი ჰფიქრობდენ სიტყვის წარმოთქმას, მაგრამ ელექტრიული სინათლე გაქრა და მუშები დაიშალნენ.

ბანცხადებანი

წიგნის მაღაზია

ი. მურადოვისა

ქუთაისში

ამით აცნობებს ბ.ბ. მასწავლებლებს, რომ მომავალი სამასწავლებლო წლისთვის ამ მაღაზიაში დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო წიგნები, მოსწავლეთათვის რვეულები, დახაზულები მოთხოვნილებისდა-გვარად, ასი—5 მანეთად, ასპიდის დაფები დახაზულები და სადაც, სამასწავლებლო სათამაშოები და სხვა ყოველ გვარი სასწავლებლისთვის საჭირო ნივთები ძრიელ იაფად.

ყოველივე მოთხოვნილება ასრულდება დაუყოვნებლივ და რიგზედ.

(3—1)

ქუთაისში

დამეკარგა ჩუქურთმის ხელობის (рѣзчичье) ნახატები, რომელიც თუ არ მეჩუქურთმესათვის სხვისთვის სრულიად გამოუდეგარია. მნახველს ვთხოვ წარადგინოს ბერარდის წიგნის მაღაზიაში, რითაც დიდად დამავალებს.

იოსებ დავითაშვილი.

(3—1)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სავნისა, შოკ ებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უსაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბიანი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კასეტების და ბატკერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები. (100—9)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაღები მაკ-ფასი ფერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის შამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—18)

თბილის ქალაქის გაგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 სეკტემბრიდამ ქალაქში იხსნება შვიდი პირველ დაწყებითი სასწავლებლები, სადაც სწავლა იქნება, ლედა-ენაზედ: რუსულზედ ქართულზედ და სომხურზედ. ვისაც ამ სასწავლებლებში ყმაწვილების დანიშნვა ჰსურთ, მოიწოდებიან შემოიტანონ დოკუმენტები (დაბადების და ყვავილის აცრის მოწმობა) ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ შუადღემდის. თხოვნის ქაღალდები საჭირო არ არის, ამისათვის არის დამზადებული უპრავაში ბლანკები. (4—2)

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, ჰირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ეველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტეგიოთ.

(100—23)

ახლად მიღებული

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პარუსინა ნახევარ ფასად და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (12—10)

ამა წლის პირველ სეკტემბრიდგან

გამოიცემის ქ. ქუთაისში

თავ. დიმ. ელ. დადიანის რედაქტორობით

ყოველ-კვირის საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი სახელად

„ვ რ ო ვ ა“

გაზეთის პროგრამმა:

I სტატიები თანა მედროვე კითხვებზედ II ტელეგრამმები. III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები. IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები. V ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა. VI შინაგანი და გარეგანი წერილები. VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი. VIII ქრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურაზედ. IX ფელეტონი. მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა და სხვა შენიშვნები. X ისტორიული მიმოხილვა ქავკასიის აქეთა მხარისა. XI სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები. XII ცნობათ-ფურცელი და განცხადებანი.—

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალის საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხანდის-ხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლით—შვიდი მანეთი, ნახევარის წლით—ოთხი მანეთი, სამის თვით—ორი მანეთი და ხუთი შაური და ამა წლის პირველ სეკტემბრიდგან მომავალის 1882 წლის პირველ იანვრამდი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემეცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) პ. ბ. წულუკიძის სტამბაში, თფილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში, გიმნაზიისა და სათავადო ქუჩის კუთხეში.—

ქ. თფილისში: ბ. შაერდოვის გაზეთთა საგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

გამომცემლები: ივ. დ. ე. დადიანი და დ. ა. ნაზარეთელი.

ვეძილი სასამართლო საქმეებში

პ. მ. ბელოლიბინსკი

ბადავიდა არლოვსკის ქალის სახლებში, ინტენდანტოვის გვერდით.

(5—3)

ნაფიცი ვეძილი

სერგეი ვასილიევიჩი

ჩემესოვი

ბადავიდა არსენალის ქუჩაზე, „კრუფოკის“ უკან, ბარბუნოვის სახლებში.

(5—5)

ინგლისის მაღაზიაში

არწერუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

შადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—26)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა ბრომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხეელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—90)

ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—11)

ბრიქოროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ჯავჯავაძე და ს. მესხი